ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03.01/30/134

ქ. თბილისი

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) გიგა გიგაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გრინსერვისი+" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ლაშა ფურცხვანიძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები და ღირებულებები მოცემულია მიმწოდებლის ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი - 3 ფურცელი).

2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე), განცხადების ნომერი - NAT200006967.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 341760 (სამასორმოცდაერთიათას შვიდასსამოცი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი: 37420000 - სატანვარჯიშო მოწყობილობები; 37440000 - ფიტნესის ტრენაჟორები.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 13 მაისიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

2.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლები, რომლებიც ეხება საგარანტიო ვადას, ძალაშია საგარანტიო ვადის პერიოდში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) მიწოდების ვადა: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი დავალების შესაბამისად.

3.2 ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული პირველ დავალებას შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 კალენდარული დღის შემდეგ.

3.3 ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ დავალებაში მითითებული იქნება ინფორმაცია მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის სახეობების, რაოდენობების, მიწოდების (განთავსების) ადგილებისა და ვადების შესახებ.

3.4 შემსყიდველის დავალების შემთხვევაში, მიმწოდებელს უნდა შეეძლოს შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) მიწოდება ერთდროულად 4 (ოთხი) ლოკაციაზე.

3.5 შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) მიწოდების ადგილი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, შემსყიდველის წერილობითი დავალებით განსაზღვრული ადგილ(ებ)ი.

3.6 გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებსა და სპეციფიკაციებს:

3.6.1 ფიტნეს აღჭურვილობის თითოეული ლითონის კომპონენტი უნდა იყოს მოთუთიებული ან უჟანგავი ლითონის;

3.6.2 თოკები და ბაგირები (არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს ნეილონის ან პოლიპროპილენის ან პოლიესტერის მასალისგან (შიგთავსი - უჟანგავი ლითონის გრეხილი);

3.6.3 ხრახნები, ქანჩები, ჭანჭიკები უნდა იყოს მოთუთიებული ან უჟანგავი ლითონის. პროდუქციის თითოეულ არსებულ ჭანჭიკს უნდა ჰქონდეს პლასტმასის სახშობი/საცობი.

3.7 საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის დავალების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ტერიტორიაზე (სადაც განხორციელდება ახალი სავარჯიშოების მონტაჟი) არსებული სავარჯიშოების დემონტაჟი და დავალებით განსაზღვრულ ადგილზე (თბილისის მასშტაბით) დასაწყობება.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი და უნაკლო.

4.3 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს.

4.4 საგარანტიო ვადის განმავლობაში შესყიდვის ობიექტის მიერ დეფექტის/წუნის/ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში (ქურდობის და ვანდალიზმის ფაქტების გარდა), მიმწოდებელი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით დეფექტის/წუნის/ხარვეზის მქონე საქონელი ახლით.

4.5 შესყიდვის ობიექტის დეფექტის/წუნის/ხარვეზის აღმოჩენის გამო შესყიდვის ობიექტის შეკეთების ან/და ახლით შეცვლის საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები ან/და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული მესამე პირ(ებ)ი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს მწარმოებლის მიერ გაცემული, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია ან/და სერთიფიკატი(ები), რათა შემსყიდველმა იმსჯელოს მიწოდებული პროდუქციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ შემსყიდველი/მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
12.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
12.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
12.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ მოთხოვნის შემთხვევაში შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან, ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 14.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.
13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი - ლელა ხეოშვილი, მობილური ტელეფონის ნომერი 577501240, ელექტრონული ფოსტა: lela@greenservice.ge.
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი - თამარ ზედელაშვილი, მობილური ტელეფონის ნომერი 558234923; ელექტრონული ფოსტა: t.zedelashvili@tbilisi.gov.ge.
13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

15.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე _ უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას.
15.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5 „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების" შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების" სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების" შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა № GE24NB0330100200165022 ს/კოდი: 204521794	შპს „გრინსერვისი+" მის: ქ. თბილისი, დიდი ლილო სს „თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22 ა/ა № GE16TB7745236040100001 ს/კოდი: 406030370
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)	შპს „გრინსერვისი+"-ის დირექტორი
გ. გიგაშვილი	ლ. ფურცხვანიძე

Green Service +LLC

Digitally signed by Green Service +LLC
Date: 2020.05.13 17:18:56 +04'00'

ცნობის ნომერი 38/102-02
ცნობის გაცემის თარიღი: 07/05/2020

საბანკო გარანტია # 2677452-10950842

ქალაქი თბილისი

2020 წლის 07 მაისი

სს "თიბისი ბანკის" მთაწმინდის ფილიალის გაყიდვების კოორდინატორი ხათუნა ირემაშვილი მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით :

გარანტი:	სს "თიბისი ბანკი"
პრინციპალი :	შპს გრინსერვისი + საიდენტიფიკაციო ნომერი: 406030370
ბენეფიციარი :	ქ. თბილისის მერია
გარანტიის თანხა :	**17,100.00 (ჩვიდმეტი ათას ასი) ლარი.**
გარანტიის გაცემის საფუძველი :	"ბენეფიციარს" და "პრინციპალს" შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებლად გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა. (ტენდერის ნომერი: NAT200006967) (შემდგომში „ხელშეკრულება"). პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა საბანკო გარანტიის გაცემა.
გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება:	"გარანტი" კისრულობს უპირობო (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) და გამოუთხოვად ვალდებულებას, ამ საბანკო გარანტიის წერილის პირობების გათვალისწინებით, პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის[1] ვადაში "ბენეფიციარს" გადაუხადოს მოთხოვნაში მითითებული თანხა, მაგრამ არაუმეტეს გარანტიის თანხისა 1. სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა. ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში (რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ) აუცილებელი წესით უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა. წერილობითი მოთხოვნა, თანდართულ ხელშეკრულებასთან ერთად, წარდგენილ უნდა იქნეს სს "თიბისი ბანკის" კანცელარიაში მის.: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #7, სამუშაო საათებში.
გარანტიის მოქმედების ვადა :	2021 წლის 01 მარტის ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღის ჩათვლით.

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" მხრიდან დარღვეულ ვალდებულებაზე მითითებით, მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება (ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის გასვლით).
საბანკო გარანტია ზემოაღნიშნულის გარდა ასევე უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

- ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობითი უარის თქმით და საბანკო გარანტიის დედნის გარანტისთვის დაბრუნებით;
- პრინციპალის მიერ საგარანტიო ვალდებულებების სრულად შესრულებით, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იქნას ბენეფიციარის მიერ.

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის ფილიალის გაყიდვების კოორდინატორი ხათუნა ირემაშვილი / ---------- /

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია და მარკა/მოდელი	ტექნიკური მახასიათებლები (სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტში ატვირთული ტექნიკური დავალების შესაბამისად)	ზომა (სიგრძე/სიგანე/სიმაღლე)	რაოდენობა/ განზომილება	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ფეხის ველოსიპეტი (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით)	დანია, KOMPAN, FAZ50100	**დანია, KOMPAN, FAZ50100** ფეხის ველოსიპედი (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - სავარჯიშოს დასაჯდომი რეგულირდება სხვადასხვა სიმაღლეზე. ხელმოსაჭიდის სიგანე 51 სმ. დასაჯდომი დამზადებულია ფოლადის ფირფიტისგან, რომელიც გარედან შეფუთულია პოლიურეთანის რეზინით. მოწყობილობას ფუნქციების კონტროლისთვის გააჩნია Bluetooth-ის მხარდაჭერა (რომლითაც შესაძლებელია მობილურ ტელეფონთან და პლანშეტთან დაკავშირება).	სიგრძე 97 სმ სიმაღლე 138 სმ	2 ცალი	27,400.00	54,800.00
2	მაღალი პარალელური ღერძები (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით)	დანია, KOMPAN, FSW21001	**დანია, KOMPAN, FSW21001** მაღალი პარალელური ღერძები (თანმდევი მომსახურებით მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - წარმოადგენს 3 პარალელურ ღერძს; მთავარი საყრდენი ბოძები (ზომით Ø101,6X2 მმ) და ჰორიზონტალური მილები (მილის დიამეტრი 38 მმ) არის ფოლადის. მოწყობილობას გააჩნია საინსტრუქციო აბრა, რომლთა მეშვეობითაც შესაძლებელია აღჭურვილობის შესაძლებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მიღება.	სიგრძე 196 სმ სიმაღლე 107 სმ	1 კომპლ	8,580.00	8,580.00
3	დასაწოლი დაფა (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით)	დანია, KOMPAN, FSW20400	**დანია, KOMPAN, FSW20400** დასაწოლი დაფა (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - მთავარი, საყრდენი ბოძები (კიდურების მოსაჭიდებლის მხარეს) არის ფოლადის (ზომით Ø101,6X2 მმ); დასაწოლი დაფა არის 15 მმ სისქის პოლიეთილენის მასალის, რომელიც ზემოდან დაფარულია 3 მმ თერმოპლასტიკური რეზინით. მოწყობილობას გააჩნია საინსტრუქციო აბრა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღჭურვილობის შესაძლებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მიღება.	სიგრძე 153 სმ სიგანე 88 სმ სიმაღლე 81 სმ	2 ცალი	5,950.00	11,900.00
4	ინკლუზიური ფიტნეს აღჭურვილობა - მხრის ველოსიპედი (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით)	დანია, KOMPAN, FAZ51100	**დანია, KOMPAN, FAZ51100** ინკლუზიური ფიტნეს აღჭურვილობა - მხრის ველოსიპედი (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - ხელმოსაჭიდებს შორის სიგანე 54 სმ; დასაჯდომი დამზადებულია ფოლადის ფირფიტისგან, რომელიც გარედან შეფუთულია პოლიურეთანის რეზინით, მოწყობილობას ფუნქციების კონტროლისთვის გააჩნია Bluetooth-ის მხარდაჭერა (რომლითაც შესაძლებელია მობილურ ტელეფონთან და პლანშეტთან დაკავშირება).	სიგრძე 93 სმ სიმაღლე 120 სმ	2 ცალი	23,500.00	47,000.00

5	ნაბიჯისებრი ტრენაჟორი (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით)	დანია, KOMPAN, KPX120	**დანია, KOMPAN, KPX120** ნაბიჯისებრი ტრენაჟორი (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - ფიტნეს აღჭურვილობის ძირითადი საყრდენი ბოძები (ზომით Ø159X4 მმ) არის ფოლადის; დასადგომს გააჩნია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი. მოწყობილობას გააჩნია საინსტრუქციო აბრა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღჭურვილობის შესაძლებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მიღება.	სიგრძე 150 სმ სიმაღლე 159 სმ	2 ცალი	13,090.00	26,180.00
6	თხილამური (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით)	დანია, KOMPAN, KPX125	**დანია, KOMPAN, KPX125** თხილამური (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - ფიტნეს აღჭურვილობის ძირითადი საყრდენი ბოძი (ზომით Ø159X4 მმ) არის ფოლადის; ხელმოსაჭიდებს შორის სიგანე 65 სმ; დასადგომს გააჩნია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი. მოწყობილობას გააჩნია საინსტრუქციო აბრა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღჭურვილობის შესაძლებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მიღება.	სიგრძე 153 სმ სიმაღლე 184 სმ	3 ცალი	19,550.00	58,650.00
7	დაკიდებული სავარჯიშოები (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით)	დანია, KOMPAN, FAZ10100	**დანია, KOMPAN, FAZ10100** დაკიდებული სავარჯიშოები (თანმდევი მსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - გააჩნია სამი წყვილი, თოკებზე დაკიდებული ხელმოსაჭიდი (3 ადამიანზე გათვლილი); თითოეული წყვილი ხელმოსაჭიდი არის სხვადასხვა სიგრძეზე ჩამოკიდული; ხელმოსაჭიდის შიდა კონსტრუქცია არის ლითონის, რომელიც გარედან დაფარულია პოლიურიეთანის საფარით; მთავარი ჩარჩოს საყრდენი ბოძები (ზომით Ø101,6X3მმ.) და დამხმარე ბოძები (ზომით Ø76,1x3,6მმ) (დამხმარე ბოძები არის ფოლადის). მოწყობილობას გააჩნია საინსტრუქციო აბრა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია აღჭურვილობის შესაძლებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მიღება.	სიგრძე 390 სმ სიმაღლე 334 სმ	1 კომპლ.	45,650.00	45,650.00
8	აზიდვის ორმხრივი სავარჯიშო (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით)	დანია, KOMPAN, KPX126	**დანია, KOMPAN, KPX126** აზიდვის ორმხრივი სავარჯიშო (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - სავარჯიშოს ძირითადი საყრდენი ბოძი (ზომით Ø159X4 მმ) არის ფოლადის; საზურგე დამზადებულია მყარი მასალით; ხელისმოსაჭიდები დაფარულია თერმოსტატიკური პოლიურეთანით; ერთროდულად 2 ადამიანს შეუძლია ვარჯიში; ხელმოსაჭიდებს შორის სიგანე 77 სმ; მოწყობილობას გააჩნია საინსტრუქციო აბრა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია აღჭურვილობის შესაძლებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მიღება.	სიგრძე 172 სმ სიმაღლე 159 სმ	2 კომპლ.	13,650.00	27,300.00
9	მკერდის ორმხრივი სავარჯიშო (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლეკტაციით)	დანია, KOMPAN, KPX131	**დანია, KOMPAN, KPX131** მკერდის ორმხრივი სავარჯიშო (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - გააჩნია ერთი დასაჯდომი საზურგით; დასაჯდომი და მისი საზურგე დამზადებულია მყარი მასალისგან; ფიტნეს აღჭურვილობის ძირითადი საყრდენი ბოძი (ზომით Ø159X4 მმ) არის ფოლადის; ერთროდულად 2 ადამიანს შეუძლია ვარჯიში; ხელისმოსაჭიდები დაფარულია თერმოსტატიკური პოლიურეთანით; მოწყობილობას გააჩნია საინსტრუქციო აბრა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღჭურვილობის შესაძლებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მიღება.	სიგრძე 163 სმ სიმაღლე 159 სმ	2 ცალი	14,800.00	29,600.00

10	მუხლების სავარჯიშო ველოსიპედი (ველოსიპედი დაბალი დასაჯდომით და საზურგით) (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლეკტაციით)	დანია, KOMPAN, KPX129	**დანია, KOMPAN, KPX129** მუხლების სავარჯიშო ველოსიპედი (ველოსიპედი დაბალი დასაჯდომით და საზურგით) (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) (სრული კომპლექტაციით) - დასაჯდომი და მისი საზურგე დამზადებულია მყარი მასალით; ფიტნეს აღჭურვილობის ძირითადი საყრდენი ბოძი (ზომით Ø159X4 მმ) არის ფოლადის; ხელისმოსაჭიდები დაფარულია თერმოსტატიკური პოლიურეთანით; ხელმოსაჭიდებს შორის სიგანე 77 სმ; გააჩნია ერთი დასაჯდომი; მოწყობილობას გააჩნია საინსტრუქციო აბრა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღჭურვილობის შესაძლებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მიღება.	სიგრძე 169 სმ სიმაღლე 159 სმ	2 ცალი	16,050.00	32,100.00
							341,760.00

შესყიდვის ობიექტის გარანტია: 2 წელი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან

შპ "გრინსერვისი +"
დირექტორი

ლ. ფურცხვანიძე

Green Service +LLC

Digitally signed by Green Service +LLC
Date: 2020.04.24 17:34:24 +04'00'